



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 თებერვალი 2024



N 72/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. ახმეტაში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ახმეტაში წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ახმეტაში, რომლის საკანალიზაციო სისტემის ძირითადი ნაწილი მოწყობილია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. არსებული მდგომარეობით, ქალაქის საზღვრების გაფართოებიდან გამომდინარე, რიგ უბნებში არ არის მოწყობილი წყალარინების სისტემა, ხოლო რიგ უბნებში არსებული საკანალიზაციო სისტემის ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია 5 119 მეტრი საერთო სიგრძის წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობა, რომლის საანგარიშო ხარჯი გათვლილია 8 526 ადამიანზე. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, არსებული საკანალიზაციო ქსელის ძირითადი ნაწილი დარჩება ექსპლუატაციაში, თუმცა, გაუქმდება დაახლოებით 7 კმ სიგრძის მონაკვეთი. წყალარინების გამყვანი კოლექტორის ნაწილი გაივლის საცხოვრებელი სახლების მომიჯნავედ. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ალაზანი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 200 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალარინების გამყვანი კოლექტორი წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილებით და 69 რკინა-ბეტონის ჭით. კერძოდ, 76 მეტრ სიგრძეზე მოეწყობა 150 მმ დიამეტრის მილები, 199 მეტრ სიგრძეზე – 200 მმ (GPS კოორდინატები: X-517821, Y-4654090; X-517797, Y-4654271), 1 790 მეტრ სიგრძეზე – 300 მმ (GPS კოორდინატები: X-518215, Y-4654270; X-519680, Y-4653915), 1 776 მეტრ სიგრძეზე – 400 მმ დიამეტრის მილები (GPS კოორდინატები: X-519153, Y-4655396; X-519680, Y-4653915), ხოლო 1 278 მეტრ სიგრძეზე – 500 მმ დიამეტრის მილები (GPS კოორდინატები: X-519680, Y-4653915; X-520532, Y-4653353). გამყვანი კოლექტორი დაუერთდება საკანალიზაციო ჭას (GPS კოორდინატები: X-520532.43, Y-4653353.36).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე გამოყენებული იქნება 4 ექსკავატორი, 2 თვითმცლელი, 2 ბულდოზერი, 2 „ბობკატი“

და ამწე-მანიპულატორი. სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, გამყვანი კოლექტორის მოსაწყობად მომზადდება სხვადასხვა პარამეტრების ტრანშეა, რომლის ფსკერი დაიფარება 15 სმ სისქის ქვიშის ალიზით. ტრანშეაში მილების განთავსების შემდგომ, იგი შეივსება 30 სმ სისქის ბალასტით. სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 10 თვეს და დასაქმდება 14 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება მშენებლობაში ჩართული ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. დოკუმენტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ტექნიკის გამოყენების ინტენსივობის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხაზობრივი ნაგებობის მოწყობა და სამშენებლო სამუშაოები არ იქნება კონცენტრირებული ერთ კონკრეტულ უბანზე, დაგეგმილი საქმიანობა არსებით გავლენას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები არ იქნება კონცენტრირებული ერთ კონკრეტულ უბანზე, ამასთან, სამშენებლო ტექნიკა იმუშავებს მონაცვლეობით და მათი გამოყენების ინტენსივობა იქნება დაბალი, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტის მიხედვით, გამყვანი კოლექტორის ტრანშეის მომზადების პროცესში ექსკავირებული გრუნტის მართვა მოხდება მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე. საკვლევ არეალში გამოიყოფა სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე 1 წარმოდგენილია ყავისფერი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარით, სგე 2 – პლასტიკური, წვრილმარცვლოვანი ქვიშნარით, ხოლო სგე 3 – საშუალოფრაქციული კენჭნარით, თიხნარის 30%-მდე შემავსებლით. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მდგრადია და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ქ. ახმეტის დასახლებულ არეალში და განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მოსაწყობი წყალარინების კოლექტორის გაყვანა გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მომიჯნავედ, ან უშუალოდ საავტომობილო გზის ქვეშ. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობა არ არის დაკავშირებული მცენარეული საფარის ჭრასთან. დოკუმენტის თანახმად, ანთროპოგენური ზემოქმედებიდან

გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – „ახმეტის ღვთაების ტაძრის“ ვიზუალური დაცვის არეალში. სკრინინგის განცხადებას თან ერთვის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაგეგმილი პროექტი განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ახმეტაში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

